ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 03

დ. ლენტეხი 16.02.2025წ.

მიმდინარე წლის 16 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის რიგით მესამე სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ; სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი; კომისიის წევრები : ხუტა მუკბანიანი, ირაკლი ქურასბედიანი, სოსო ავალიანი. მოწვეული სტუმრები: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი, მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარეხი ონიანი, მოწვეული სპეციალისტიამირან ლიპარტელიანი, სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი, რომელმაც წარმოადგინა დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
   / მომხს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი/

2. ინფორმაციის მოსმენა ლენტეხის მუნიციპალიტეტში თოვლწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.
   /მომხს: მერიის ზდამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი/

3. დაბაში, წყლის სისტემის რეაბილიტაციის შედეგად დაზიანებული შიდა გზების მოწესრიგების თაობაზე.
   / მომხ. მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანი/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

2.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზედამხედველობის სამსახური წარმოგიდგენთ 2025 წლის განმავლობაში ჩვენი სამსახურის მიერ გაწეულ მუშაობის შესახებ ინფორმაციას.
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N-3 დადგენილებით მოხდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირება. შესაბამისად, ჩვენი სამსახური ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს ამ საკითხს.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N-53 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ლენტეხის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 604000 ლარი. დასრულებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაო, დარჩენილია მხოლოდ სოფ. მუწდის სოფლის პროგრამა, რომელსაც ზამთრი ყინვების გამო 01 აპრილამდე გადაუვადდა სამუშაოების წარმოება. 10 შემსრულებლებს ვადაგადაცილების გამო დაეკისარა ჯარიმა, რაც შეადგენს 1839 ლარს.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N-301 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის მთის განვითარების ფონდიდან გამოიყო 354178 ლარი. აღნიშნული თანხით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სოფელ ჟახუნდერში საავტომობილო გზის მოწყობაზე. გამარჯვებულია შ.პ.ს „ლ.კ ჯგუფი" სახელმეკრულებო თანხა შეადგენს 354 178 ლარს. მიმდინარე პროექტის სამუშაოები დასრულებულია.
საქართველოს მთავრობის 2023წ 02 მაისის N-648 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყო 2 068 223 ლარი. სოფ. ხერიაში და სოფ. ჩუკულში ნაკიშერის უბანში ხიდების მოსაწყობად გამოიყო თანხა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 132 255 ლარს, პროექტები იყო გარდამავალი. სამუშაოები შეასრულა შპს „ავტოგზა ლენტეხი 99"-მა. სამუშაოები დასრულებულია.
ასევე სტიქიის სალიკვიდაციოდ მიმდინარეობს 1 პროექტი:
1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სოფელ ჩუკულში და სოფ. შკედში ხიდბოგირების მოწყობა;

რომელის ღირებულებაც შეადგენს 275 019 ლარს.

2025 წლის განმავლობაში ხელშეკრულება შეწყდა 4 პროექტის ფარგლებში:
1. შპს ტორნადო-ლემზაგორში შესასვლელი გზის დამცავი გაბიონის მოწყობა;
2. შპს ბ ნ მ ჯგუფი- სოფ. კერბულაში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა;
3. შპს ბ ნ მ ჯგუფი- სოფ. ლემზაგორში ქვედა უბანში რკ/ ბეტონის სანიაღვრე არხის და რკ/ბ კედლის მოწყობა.
4. შპს ავტოგზა ლენტეხი99 - მდინარე ლასკადურაზე მყავე წყლის ხიდის და ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია
საქართველოს მთავრობის 2025 წლის განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 4 698 291 ლარი. დაფინანსებულია 30 პროექტი რომელთა უმრავლესობაც დასრულებულია. ხოლო 2026 წელს შესასრულებლად გადავიდა 4 პროექტი:
1. შპს TU-KA -სოფ.ხელედში თამარ-მეფის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

2. შპს ელიტ ბილდერს გრუპი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაბილში ბეტონის საფარიანი გზის და სანიაღვრე არხის მოწყობა;

3. შპს ბიელი - დაბა ლენტეხში ჯოკია მეშველიანის სახელობის სკვერის მოწყობა;

4. შპს ელიტ ბილდერს გრუპი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. გვიმბრალაში ბეტონის საფარიანი გზის და დამცავი ზღუდარების მოწყობა.

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული იყო და ჩვენს სამსახურს საზედამხედველოდ გადმოგვეცა 10 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება იყო 358 542.03 ლარი.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების თოვლის საფარისგან და ჩამონაშალი ქანებისაგან გაწმენდა- 148503 ლარი;

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზეხმელი ხეების მოჭრა-ჩამობელვის სამუშაოები -7840.8 ლარი;

3. დაბა ლენტეხში ჭავჭავაძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისსტემის რეაბილიტაცია- 5542.94;

4. დაბა ლენტეხში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები- 24270.6 ლარი;

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების ჩამონაშალი ქანებისაგან გაწმენდის სამუშაოები- 69289.87 ლარი;

6. სპორტკომპლექსის სარემონტო სამუშაოები- 10990.52

სოფ.რცხმელურის საბავშვო ბაღის შემოღობვა- 14552.94 ლარი;

8. 2025 წლის 9 სექტემბრის ინტენსიური წვიმების შედეგად ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ჩოლურის თემში დაზიანებული გზების აღდგენა და მდინარის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით- 35000 ლარი;

9. 2025 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში ინტენსიური წვიმების შედეგად ლენტეხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დანიშნულების სასოფლო გზების ჩამონაშალი ქანებისგან გაწმენდის სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით- 35000 ლარი;

10. თუნუქის სახურავის (პროფ. 0.5 SLG RAL 7024 W23/115) შეძენა - 7551.36 ლარი;

11. დაბა ლენტეხში ჭავჭავაძის ქუჩაზე კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები- 32536.14 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N-1456 განკარგულებით 2020-2022წწ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისთვის გამოიყო 750 000 ლარი. სამუშაოებს ასრულებდა ამხანაგობა „დაგი+"-ი. შემსრულებელი შეფერხებით და არაჯეროვნად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. ასევე დაარღვია გეგმა-გრაფიკი და პირგასამტეხლომ გადააჭარბა ხელშეკრულების საერთო ღირებულებას. შესაბამისად, დაეკისრა ჯარიმა 34 639 ლარის ოდენობით და შეუწყდა ხელშეკრულება. ტენდერი გამოცხადდა ხელმეორედ, გამარჯვებული გახდა შპს ,,აბსოლიტპლუსი", ხოლო ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 479 770 ლარს. სამუშაოების დასრულებულია.

2025 წლის განმავლობაში პირგასამტეხლოს, ვადა-გადაცილებისა და სამუშაოების არა ჯეროვნად შესრულების გამო ჯარიმა დაეკისრა შემდეგ შემსრულებელს:

1. შპს დეგი გრუპი 44 ლარი

2. შპს ნათება 777 62 ლარი

3. ი/მ მურმან ტოგონიძე 3 743 ლარი

4. შპს გლობალმშენი 259 ლარი

5. შპს ლილეო 548 ლარი

6. შპს საგზაო 333 2515 ლარი

7. შპს ელიტ ბილდერს გრუპი 22795 ლარი

8. შპს ლ.კ ჯგუფი 6729 ლარი

9. შპს ავტოგზა ლენტეხი99 58676 ლარი

10. შპს ბ ნ მ ჯგუფი 3534 ლარი

11. შპს ჯორჯიან ქონსთრაქშენ გრუფი 1366 ლარი

12. შპს მშენებელი ლ.მ. 2009 407 ლარი

13. შპს ამჯ ჯგუფი 386 ლარი

14. შპს ბიელი 458 ლარი

15. შპს სამშენებლო კომპანია რ.ქ 1102 ლარი

16. შპს ვიქტორია + 24 174 ლარი

17. შპს აბსოლურპლუსი 16600 ლარი

2025 წლის განმავლობაში პირგასამტეხლოს, ვადაგადაცილებისა და სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების გამო ჯარიმა დაეკისრა 17 შემსრულებელს და შეადგინა 143 398 ლარი. ასევე, სოფლის პროგრამების 10 შემსრულებლებს ვადაგადაცილების გამო დაეკისარა ჯარიმა, რაც შეადგენს 1839 ლარს.

ხოლო 2025 წლის განმავლობაში ჯარიმების საერთო ღირებულებამ შეადგინა 145 237 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა გამოთქვა აზრი, რომ კომისიის ყველა წევრმა საკითხის ირგვლივ დასვას კითხვები, გამოთქვას აზრი და შენიშვნები ისე, როგორც რეგლამენტშია მითითებული, ხოლო მსჯელობის შემდეგ კომისიამ, ხმათა უმრავლესობით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კომისიის თავმჯდომარემ მ. ლიპარტელიანმა დაუსვა შეკითხვა მომხსენებელს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისას რა ხდება, ან შესრულებული სამუშაოს აუთვისებელი თანხა თუ გადადის შემდგომ შემსრულებელზე?

ლაშა ბენდელიანმა დასმულ კითხვებზე გააკეთა განმარტება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა აუცილებლად არ ნიშნავს შავ სიაში მოხვედრას, არსებობს თეთრი სიაც, რა დროსაც ხდება

პროექტში ცვლილების შეტანა, ხდება კორექტირებები, ეძლევა საშუალება შემსრულებელს თავი გაართვას სამუშაოს, სხვა შემთხვევაში ხდება მათი დაჯარიმება.

რაც შეეხება შესრულებული სამუშაოს დროს აუთვისებელ თანხას, ესთანხა გადადის მომდევნო, შემდგომ შემსრულებელზე.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ზედამხედველობის სამსახურის უროსის ლაშა ბენდელიანის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. მოისმინეს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა ბენდელიანმა ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტში თოვლწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მუშა ჯგუფის თავდაუზოგავი შრომის შედეგად მაქსიმალურად შესრულდა სამუშაოები., მხოლოდ სამუშაოს მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი. კომისიის წევრებმა მომხსენებელს დაუსვეს შეკითხვები, მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

გადაწყვიტეს: ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტში თოვლწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, რომელიც წარმოადგინა მერიის ზდამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა ბენდელიანმა, ცნობად იქნას მიღებული.

3. მისმინეს: დაბაში, წყლის სისტემის რეაბილიტაციის შედეგად დაზიანებული დაბაში არსებული შიდა გზების მოწესრიგების თაობაზე, რომელიც წარმოადგინა მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დემური ლიპარტელიანმა. მან აღნიშნა, რომ რაიონში წყალკანალის მიერ მიმდინარეობს სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გადათხრილია ცენტრალური ქუჩები, გაჩნდა წყლით სავსე ორმოები, ყველაფერი ეს დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას. უნდა მოიძებნოს გამოსავალი, რომ გატარდეს დროებითი ღონისძიება ამის გამოსასწორებლად.

გადაწყვიტეს: უახლოეს დღეებში, კერძოდ, პარასკევ დღეს, ჩატარდეს შაბათობა მერიის თანამშრომლების ძალებით, შემოიზიდოს „ხრეში" და ხელით, ნიჩბებით ამოივსოს გადათხრილი ადგილები დაბის ცენტრალურ ქუჩებში. ასევე მერიის მიერ გაიგზავნოს წერილი საგზაო დეპარტამენტში, დაბაში არსებული გზების ის მონაკვეთები, რომლის მოვლა-პატრონობაც მათი მოვალეობაში შედის, მათ მიერვე იქნას რეაბილიტირებული.

სხდომა დასრულდა 14 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

თავმჯდომარე: /მ. ლიპარტელიანი/